



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში III კვარტალი

თბილისი

2019

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბები	-1
მედიაწარმოება	-8
მედია და კომუნიკაცია	-16
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	-25
იურიდიული სამსახურის ანგარიში	-26
„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ არქივი	-37
ტექნიკური უზრუნველყოფა	-39
ფინანსები და ადმინისტრაცია	-41

ახალი და მიმდინარე ამბები

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში **პირველი არხის** საინფორმაციო სამსახურის მაუწყებლობის ფორმატი **საქართველოს რადიოს** ეთერში შეიცვალა. დღის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებებისთვის დათმობილი ჯამური დრო გაორმაგდა. ამის გარდა, რადიომაუწყებლობის არეალი უპრეცედენტოდ გაიზარდა და ინტეგრირებული ნიუსრუმის რესურსი უფრო ინტენსიურად გამოიყენება. შედეგად **პირველი არხის** ახალი ამბების წვდომა და ეფექტურობა **საქართველოს რადიოს** ეთერში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პირველმა არხმა მაყურებელს შესთავაზა ახალი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა **ტრიბუნა**. გადაცემის მიზანია, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მონაწილეობით საინტერესო დისკუსიებისა და დებატების მეშვეობით მაყურებელს გააცნოს პოლიტიკური პარტიების ხედვები და ხელი შეუწყოს ამომრჩევლის ინფორმირებას საპარლამენტო არჩევნების წინ.

დაიწყო ახალი სპორტული გადაცემა **ტაიმუტი**, რომელიც ეთერში ყოველ სამუშაო დღეს გადის. ეს არის გადაცემა სპორტის მოყვარულთათვის და არა მხოლოდ მათთვის. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში **პირველმა არხმა** დაიწყო ექსკლუზიური რეპორტაჟები იაპონიაში მიმდინარე მსოფლიოს სარაგბო ჩემპიონატიდან.

სექტემბრიდან **ბიზნესპარტნიორი** რადიომსმენელისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი. საუბარია 10-წუთიანი ტელე რუბრიკის რადიოვერსიაზე. საანგარიშო პერიოდში, დაიწყო მუშაობა ბიზნესპარტნიორის დამოუკიდებელი რადიოვერსიის შექმნაზეც, რომელიც ოქტომბრიდან ყოველ სამუშაო დღეს დილის რადიოპროგრამაში **პიკის საათი** რუბრიკის სახით გადის.

პროექტის **მრავალფეროვანი საქართველო** ფარგლებში მაუწყებლობს აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ინტერნეტ-ტელევიზიები **Birinci Kanal** (პირველი არხი) და **Unughin Ughr** (პირველი არხი). ორივე არხზე საინფორმაციო გამოშვება გადაიცემა ყოველ საათში, ხოლო შემაჯამებელი **მოამბე 19:00 საათზე** გადის ყოველდღე კვირადღის გარდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ **მოამბის** 21-საათიანი გამოშვება სინქრონული ითარგმნება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ციფრული მაუწყებლობის წყალობით აუდიტორიისთვის **მოამბე** სამივე ენაზე ხელმისაწვდომია. აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნება პროგრამის **ახალი კვირა** სიუჟეტები.

ასევე მზადდება ორიგინალური პროგრამები **პოზიცია (MÖVQE და Təpəpözlül), ƏNƏNƏ ÇƏLƏNG** (ტრადიციის ბუკეტი), **ფერადი სამყარო (Rəngli Dünya)**, **ხაზინა (საგანძური), განძარან (საგანძური), გუნეყ აშხარჰ (ფერადი სამყარო), კვირის რეპორტაჟი და შაბათ ერეკო (შაბათის საღამო).**

საანგარიშო პერიოდში აქცენტი გაკეთდა ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე. ამავე დროს, გაშუქდა ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული მოვლენა.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

- ☐ **საქართველოს პირველი არხი**
 - o **ტრიბუნა** - 2
 - o **ექსკლუზიური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად** - 5
 - o **კვირის ინტერვიუ** - 3
 - o **ახალი კვირა** - 6

- o 42° პარალელი - 4
- o თავისუფალი ხედვა - 4
- o ბიზნესისპარტნიორი - 84
- o ტაიმაუტი - 9
- o ნაშუადღევს - 32


☐ საქართველოს რადიო

- o ღია სტუდია - 41
- o მსოფლიო ამბები - 8
- o ესტაფეტა - 42
- o ლეგიონი - 3

2.სიახლეები

1.1. რადიოს საინფორმაციო სამსახური


საანგარიშო პერიოდში საქართველოს რადიოს ეთერში პირველი არხის საინფორმაციო სამსახურის მაუწყებლობის ფორმატი შეიცვალა და მისი ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. სექტემბრიდან, ყოველ სამუშაო დღეს, 07:25-იდან 24:00-მდე ყოველი საათის 25 და 50 წუთზე მოისმენთ, შესაბამისად, 5 და 10-წუთიან საინფორმაციო გამოშვებებს. შაბათ-კვირას აუდიტორიის ქცევის გათვალისწინებით, ეთერში მხოლოდ 10-წუთიანი გამოშვება გადის.



ამ ცვლილების შედეგად, სამუშაო დღის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებებისთვის დათმობილი ჯამური დრო თითქმის გაორმაგდა და 130-იდან 240 წუთამდე გაიზარდა. ასევე გაორმაგდა შაბათ-კვირის განმავლობაში გასული საინფორმაციოების ჯამური დროც.

შესაბამისად, 24-საათიანი მაუწყებლობიდან საინფორმაციო გამოშვებებისთვის დათმობილი საეთერო დროის წილი 9%-დან 17%-მდე გაიზარდა.

საინფორმაციო გამოშვებების წილი
საქართველოს რადიო



ახალი სეზონიდან მულტიმედიური კორესპონდენტების ჯგუფი *საქართველოს რადიოს* მსმენელისთვის ინფორმაციის ყველაზე ოპერატიულ მიწოდებას უზრუნველყოფს.

ამასთან, *საქართველოს რადიოს* აპლიკაცია აუდიტორიას საინფორმაციო გამოშვების მოსმენის ახალ შესაძლებლობებს აძლევს.

ამ სიახლეების და რადიომაუწყებლობის არეალის უპრეცედენტო ზრდის გათვალისწინებით *საქართველოს რადიოს* ეთერში *პირველი არხის* ახალი ამბების წვდომა და ეფექტურობა თვისობრივად გაიზარდა.

1.2. ტრიბუნა



საქართველოს პირველმა არხმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ზოლში ახალი ფორმატის თოქ-შოუ დაიწყო. 18 სექტემბრიდან, ყოველ ოთხშაბათს 22.30 საათზე ეთერში გადის **ტრიბუნა**, რომელსაც გიორგი გვიმრაძე უძღვება.

გადაცემა მაყურებელს საშუალებას აძლევს, გაიგოს პოლიტიკოსების ხედვა - როგორც მიმდინარე პროცესებზე, ასევე საკანონმდებლო ინიციატივებსა და გადაწყვეტილებებზე.

ტრიბუნა მაყურებელს სთავაზობს საინტერესო დისკუსიებს და დებატებს სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მონაწილეობით.

გადაცემის მიზანია, მაყურებელს გააცნოს პოლიტიკური პარტიების ხედვები და ხელი შეუწყოს ამომრჩევლის ინფორმირებას საპარლამენტო არჩევნების წინ.

1.3. ტაიმაუტი

ახალი სპორტული გადაცემა **ტაიმაუტი** ეთერშია ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 14:30-დან 15:00 საათამდე. გადაცემის მიზანია, მაყურებელს შესთავაზოს სპორტის ახალი ამბების მიმოხილვა, აქტუალური თემების განხილვა სტუმრებთან ერთად.



სპორტის პოპულარული სახეობების გარდა, გადაცემა დროს უთმობს საქართველოში ნაკლებად ცნობილ, თუმცა საინტერესო სახეობებს. აქტიურად შუქდება ბავშვების, ქალებისა და შშმ პირების ჩართულობა სპორტში, ელექტრონული სპორტი, სპორტის გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მზადდება ისეთი თემები, როგორიცაა სპორტი ხელოვნებაში (მუსიკაში, კინოში, მხატვრობაში, ლიტერატურაში), სპორტი და მოდა.

გადაცემის მიზანია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება და რეკომენდაციების გაცემა კომპეტენტური სტუმრების მიერ.



ტაიმაუტი მაყურებელს სთავაზობს უნიკალურ საარქივო მასალას, ასევე დროს უთმობს სპორტის ისტორიაში გამორჩეულ თარიღებს.

პროგრამა აუდიტორიას სთავაზობს ვიქტორინასაც, რომლის

გამარჯვებულს იღებს სამახსოვრო პრიზს.

გადაცემა დატვირთულია საინტერესო და სახალისო ამბებით, ფოტოებითა და ვიდეოებით სოციალური ქსელებიდან.

ექსკლუზიური და უცნობი ისტორიები, საინტერესო სტუმრები, ოპერატიული ინფორმაცია, გართობა და პოზიტიური განწყობის შექმნა – **ტაიმაუტი** სპორტის მოყვარულთათვის და არა მხოლოდ მათთვის.

1.4. მსოფლიოს ჩემპიონატი რაგბიში



იაპონიაში იმართება მსოფლიოს ჩემპიონატი რაგბიში, რომლის ტელეტრანსლირების ექსკლუზიურ უფლებას საზოგადოებრივი მაუწყებელი ფლობს. თვენახევრის განმავლობაში ტელემაყურებელი 48 მატჩის პირდაპირ რეპორტაჟს იხილავს.

1.5. ბიზნესპარტნიორი



წინა საანგარიშო პერიოდში **პირველმა არხმა** მაყურებელს შესთავაზა ახალი პროექტი **ბიზნესპარტნიორი**, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს ეთერში გადის ორი განსხვავებული ფორმატით.


სექტემბრიდან ტელე და ინტერნეტ აუდიტორიის გარდა პროექტი რადიომსმენელისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი. საუბარია 10-წუთიანი ტელე რუბრიკის რადიოვერსიაზე, რომელიც **პირველი არხის** დილის პროგრამაში **ახალი დღე** გადის.

საანგარიშო პერიოდში ასევე დაიწყო მუშაობა **ბიზნესპარტნიორის** დამოუკიდებელი რადიოვერსიის შექმნაზე, რომელიც ოქტომბრიდან არხის დილის რადიოპროგრამის **პიკის საათი** ყოველდღიური რუბრიკაა.

ბიზნესპარტნიორი არის გარეწარმოების პროექტი. მას ახორციელებს **ბიზნეს მედია კორპორაცია**, რომელიც

საქართველოს ბიზნესმედია ბაზარზე ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა. *ბიზნეს მედია კორპორაცია* ფლობს გაზეთ *Caucasus Business week*-ს, ასევე ვებ პორტალებს *bpi.ge* და *avianews.ge*.

1.6. მრავალფეროვანი საქართველო



საქართველოს პირველი არხის ჯგუფმა მრავალფეროვანი საქართველომ „ვოთსაფის“ საშუალებით დაიწყო ახალი ამბების გავრცელება აზერბაიჯანულ ენაზე. რაც საშუალებას აძლევს საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ უმცირესობებს ყოველდღიურად და ოპერატიულად მიიღონ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამოწმებული ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენებზე.

საანგარიშო პერიოდში ორივე ინტერნეტ-არხზე, *Birinci Kanal* (პირველი არხი) და *Unuqışın Uçur* (პირველი არხი), გაიზარდა საინფორმაციო გამოშვებების ინტენსივობა, პირველი გამოშვება ეთერში გადის უკვე 11:00-ზე. შესაბამისად, 5-წუთიანი *ახალი ამბები საათში ერთხელ* ეთერში გადის ყოველდღე კვირის გარდა, 11:00-იდან 18:00 საათის ჩათვლით.

2. გაშუქებული თემები

ახალი და მიმდინარე ამბების სატელევიზიო პროგრამები *მოამბე 21:00 საათზე*, *მოამბე - დღის თემა*, *აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად*, *კვირის ინტერვიუ*, *ახალი კვირა*, *თავისუფალი ხედვა*, *პირველი აუდიტორია*, *42° პარალელი*, *ბიზნესპარტნიორი*, *ღია სტუდია*, *ესტაფეტა*, *ლეგიონი* და *მსოფლიოს ამბები* ორიენტირებულია როგორც მიმდინარე ასევე, ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

საანგარიშო პერიოდში ანალიტიკურ გადაცემებს შეემატა ყოველკვირეული საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა *ტრიბუნა*, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ამომრჩევლის ინფორმირებას საპარლამენტო არჩევნების წინ.

კიდევ ერთი ახალი სპორტული გადაცემა *ტაიმაუტი*, ორიენტირებულია არა მხოლოდ სპორტის მოყვარულებზე, ის მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

საანგარიშო პერიოდში *საქართველოს პირველმა არხმა* გააშუქა ყველა მნიშვნელოვანი თემა, ყველა პოზიცია და აუდიტორიას საშუალება ჰქონდა, მიეღო ამომწურავი და დაზუსტებული ინფორმაცია ქვეყანაში, თუ მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პროცესების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საპარლამენტაშორისო ასამბლეაზე გავრილოვის ვიზიტის შემდეგ თბილისში დაიწყო საპროტესტო აქცია, რომელიც, პრაქტიკულად, სხვადასხვა ფორმატით გაგრძელდა

სექტემბრამდე. ეს მოვლენა, თანმდევი პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესებით, იყო ერთ-ერთი თემა, რომელიც აქტიურად გაშუქდა. ასევე, ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა ივნისში მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მომდევნო საპარლამენტო არჩევნების პროპორციული წესით, ე.წ. ნულოვანი ბარიერის პირობებში ჩატარებას და შესაბამისად საკონსტიტუციო ცვლილებებს ითვალისწინებს.

გაშუქდა ევროპული საქართველოს ინიციატივა, სამომავლო კოალიციებთან დაკავშირებით მემორანდუმის გაფორმების შესახებ.

როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, ამჯერადაც ერთ-ერთი მთავარი თემა იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესი, რომელიც ჯერ იუსტიციის საბჭოში მიმდინარეობდა, შემდეგ კი პარლამენტში გაგრძელდა.

გაშუქდა სამთავრობო ცვლილებები, ახალი პრემიერ-მინისტრის წარდგენა და სამთავრობო პროგრამა, ამ საკითხზე პარლამენტში გამართული დებატები.

კვლავ აქტიურად შუქდებოდა საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე პროცესები, უკანონო ბორდერიზაცია სოფელ გუგუთიანთკარსა და ჩორჩანაში, საოკუპაციო რეჟიმის მიერ უკანონო ბლოკ-საგუშაგოების მშენებლობა, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და ერგნეთის შეხვედრები. მომზადდა რამდენიმე რეპორტაჟი ჟენევის ფორმატის შესაძლო ცვლილებაზე, რუსეთის მხრიდან საჰაერო მიმოსვლის შეზღუდვაზე და სანქციების დაწესებაზე. ყურადღების ცენტრში იყო ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებული მოვლენები და მედიაგარემო.

გაშუქდა მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის საქმე, ასევე მათ მიერ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნება.

ფართოდ გაშუქდა საქართველოში ჩატარებული აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმი, ასევე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა საქართველოს ალიანსში გაწევრიანების ალტერნატიულ სქემაზე ისაუბრა.

პირველი არხის გადამღებმა ჯგუფმა იმუშავა ნიუ-იორკშიც, სადაც გაეროს 74-ე ასამბლეაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი და შეხვედრები გამართა საქართველოს დელეგაციამ. ყურადღება დაეთმო პრეზიდენტის მიერ პატიმართა შეწყალების საქმეს, რომელიც პოლიტიკური ურთიერთბრალდებების მიზეზი გახდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს, ადგილობრივი თვითმართველობების მუშაობის ეფექტურობას და მოსახლეობის წინაშე არსებულ პრობლემებს.

ცალკე აღსანიშნავია პროექტი *მრავალფეროვანი საქართველო*. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება რეპორტაჟები და დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

პროექტის *მრავალფეროვანი საქართველოს* მიზანია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების ინფორმირება, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.



3. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

ბიზნესპარტნიორი - პროექტის მიზანია აუდიტორიას მიაწოდოს ყველაზე ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ბიზნეს აქტივობებზე. პროექტი წარმოადგენს გარე წარმოებას და მას ახორციელებს **ბიზნეს მედია კორპორაცია**. ეს კორპორაცია მედია ბაზარზე ერთ-ერთი წარმატებული კომპანიაა, რომელიც ბიზნესის ამბებზეა ორიენტირებული. **ბიზნეს მედია კორპორაცია** ფლობს გაზეთ **Caucasus Business week**-ს, ასევე ვებ პორტალებს **bpi.ge** და **avianews.ge**.

ტელეპროექტები - მედიაწარმოება, რადიო, ტელეფილმები

ტელე პროექტები - მედია წარმოება

2019 წლის მესამე კვარტალში ტელეპროექტების (მედიაწარმოების მიმართულება) სტატისტიკური მონაცემები:



შენიშვნა: ახალი (2019 წლის სექტემბერი) სეზონის მონაცემებით, ყველა გადაცემა, რომლის მაუწყებლობა მიმდინარეობდა გასულ (2018-19) სეზონზე, აგრძელებს მუშაობას.

- 0 გადაფორმებული ტელე პროექტები: ახალი დღე და ნაშუადღევს.
- 0 ახალი პროექტები: ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია
- 0 ახალი პროექტები წარმოების ფაზაში: მე ვარ საქართველო და დოსიე (თოქ შოუ)

მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები - ტელეპროექტების მიმართულებით

გადაფორმების შემდეგ დილის გასართობ შემეცნებით პროგრამას „ახალი დღე“ დაემატა შემდეგი რუბრიკები: „პოპელოგენა“; „ქალაქი“; „რეგიონი“; „ბიზნესპარტნიორი“.



განახლებული სეზონიდან „ახალი დღე“ წარმოგიდგენთ მსოფლიოს ყველაზე საინტერესო მოვლენებს – დღის ამბებს და ადამიანებს, რომლებიც ცვლიან სამყაროს. პროგრამა კვლავ ითვალისწინებს მუსიკალურ პრემიერებსა და მულტიმედიურ თანამშრომლობას საქართველოს რადიოსთან. გადაცემას ყოველ ნახევარ საათში ტრადიციულად უერთდება არხის მთავარი საინფორმაციო პროგრამა „მომხმე“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკის სიახლეებით.

პროექტ „ნაშუადღევს“ გადაფორმების შემდეგ ახალი სეზონიდან დაემატა ახალი რუბრიკები:



ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს „ნაშუადღევს“ დაემატა განახლებული რუბრიკა – „მანჯის სამზარეულო“. რუბრიკის მიზანია ქართული გასტრონომიის პოპულარიზაცია. პერიოდულად ჩვენი სტუმრები იქნებიან როგორც ცნობილი „შეფები“, ასევე ცნობილი ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებით უყვართ გასტრონომია. „მანჯის სამზარეულოს“ რეცეპტები მაყურებლისთვის ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს პირველი არხის ონლაინ პლატფორმაზე.

ყოველ ოთხშაბათს ხდება ახალი წიგნების მიმოხილვა, რომელიც ითვალისწინებს რუბრიკის ავტორის რეკომენდაციებს ლიტერატურის მოყვარულთათვის, საინტერესო ინფორმაციას წიგნების ავტორებისა და კონკრეტული ლიტერატურული ჟანრის სხვა ცნობილი წარმომადგენლების შესახებ.

„ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია“ - ექსპონატებით ისტორიის მოყოლა მუზეუმებისთვის მიღებულ ფორმატს წარმოადგეს. პროექტს ჯერ კიდევ 2016 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ საავტორო რუბრიკის გაძღოლა დაიწყო ჟურნალში National Geographic საქართველო. ავტორი მკითხველს თითოეულ ნომერში ჩვენი ქვეყნის ისტორიას ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული ექსპონატების საშუალებით მოუთხრობდა.



2019 წლიდან კი პროექტი ტელე-რადიო ფორმატის სახეს იძენს და საქართველოს პირველი არხი ეროვნულ მუზეუმთან ერთად წარმოგიდგენთ გადაცემას „ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია“. პროექტის ფარგლებში, თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ, გაეცნოთ საქართველოს ისტორიას, უძველესი გეოლოგიური ეპოქებიდან დაწყებული – თანამედროვეობამდე. გაეცნოთ თავად უნიკალური ექსპონატების ისტორიებს და მათ აღმოაჩინოთ მეცნიერებს, შეიტყოთ მათი სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ და გაიგოთ ისეთი ფაქტები, რომლებსაც ვერც საგამოფენო ეტიკეტზე ამოიკითხავთ და ვერც საინფორმაციო დაფაზე. ავტორი და წამყვანი – აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე

„მასტერშეფი“ – მსოფლიოში პოპულარული, რეიტინგული, ერთ-ერთი საუკეთესო გასართობი და შემოქმედებითი შოუ ქართულ ტელევიზორებში მაყურებლის წინაშე მეორე სეზონით წარსდგება. „მასტერშეფი“ ყველაზე ცეცხლოვანი, დინამიკური კულინარიული გადაცემაა, რაც კი ოდესმე გინახავთ და აშშ-ში პოპულარული პროგრამების რეიტინგებში ყოველთვის საპატიო ადგილს იკავებს. „მასტერშეფი“ კი სწორედ ის გახდება, ვინც ყველა დაბრკოლებას გადალახავს, გაუძლებს ყველაზე კომპეტენტური ჟიურის კრიტიკას, მოამზადებს ვიზუალურად მიმზიდველ, გემრიელ კერძებს და, საბოლოო ჯამში - აღიარებენ, როგორც პროფესიონალ მზარეულს.

საქართველოს ვარსკვლავი – პირველ არხზე ახალი მუსიკალური მეგა-შოუ იწყება. პროექტის გამარჯვებული საქართველოს 2019 წლის „ევროვიზიაზე“ წარადგენს. ცნობილი ამერიკული შოუს ქართული ანალოგი მზადების პროცესშია. მაყურებელს იანვრიდან 9 საკონცერტო ტური ელოდება.

რანინა - წინასაწარმოო სამზადისი დაიწყო მუსიკალურმა პროექტმა „რანინა“. ისევე როგორც წინა სეზონზე, პროექტის გამარჯვებული საქართველოს 2020 წლის საბავშვო „ევროვიზიაზე“ წარადგენს.

მარტივი ლოგიკა - პირველი არხის ეთერში გაგრძელდა გეიმ შოუ „მარტივი ლოგიკა“ რომელიც საერთაშორისო პროექტის ანალოგია. მსგავსად წინა სეზონისა, თამაშში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვინც ჩათვლის, რომ არის სხარტი, აზარტული და აქვს საკმარისი ლოგიკა იმისთვის, რომ მოიგოს თანხა.

ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი? - პირველ არხზე გრძელდება „მეტრო გოლდვინ მეიერის პროექტი „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?“ გადაცემა ყოველ ოთხშაბათს საღამოს რვა საათზე გავა ეთერში და მაყურებელს ქვეყნის საუკეთესო მეექვსეკლასელებს გააცნობს..

პირადი ექიმი - მარი მალაზონია - გადაცემა, რომელიც ადამიანს ეძღვნება და საზოგადოებაში კვლავ აგრძელებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას: ახალი რუბრიკები, პროექტები, კამპანიები და აპლიკაციები მაყურებლის ჩართულობით, გადაცემის ფორმატის ფარგლებში და ფეისბუქზე.

რეალური სივრცე - ახალი სეზონიდან კვლავ ეთერში დაბრუნდა რეალური სივრცე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და სოციალური თემით, რომლის მთავარი ღერძი კვლავ ადამიანია, თავისი პრობლემით, დილემით და ცხოვრებით "რეალურ სივრცეში".

„კაცები“ - იუმორისტული თოქშოუა, რომელშიც მოისმენთ ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე ახალი ამბების იუმორისტულ მიმოხილვას. გადაცემაში იხილავთ სხვადასხვა რუბრიკებს. მათ შორის აღსანიშნავია, ცნობილ სახეებთან გასაუბრება, თამაშები და სხვ. რაც მთავარია, გადაცემის ჩაწერა ხდება აუდიტორიის თანდასწრებით, „ცოცხალი“ იმპროვიზებული იუმორით.


ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ - ტელეეთერში მეოთხე სეზონით დაბრუნდა, ზურა ყიფშიძესთან ერთად, კვლავ ვაგრძელებთ ქართველი მსახიობების, რეჟისორების, მოქანდაკეების და ხელოვნების სხვა სფეროს წარმომადგენლების გახსენებას.

წიგნების თარო - ახალ საეთერო ბადეში ჩაეშვა წიგნების თაროს მეექვსე სეზონი.

ფერმა - სატელევიზიო ჟურნალ „ფერმას“ მისია კვლავ უცვლელია და იგი კვლავ აგრძელებს არსებობას. გადაცემის მიზანია საქართველოში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების

ხელშეწყობა, სამიზნე აუდიტორიისთვის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის შესახებ სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება, საზღვარგარეთულ გამოცდილებასა და ტექნოლოგიურ სიახლეებში ინფორმირება, საკანონმდებლო ცვლილებების და ახალი რეგულაციების გაცნობა. მაუწყებლის ერთ-ერთი პრიორიტეტიდან გამომდინარე სოფლად მცხოვრები რიგითი ადამიანების (ფერმერების და გლეხების) ცხოვრების სტილის და პრობლემების გაშუქება.

„აკუსტიკა“ - მუსიკალური პროექტი, რომელსაც ცნობილი მუსიკოსები, კომპოზიტორები, ფოლკლორისტები და მომღერლები სტუმრობენ, მესამე სეზონით წარსდგა მაყურებლის წინაშე. „აკუსტიკაში“ ცნობილი და მაყურებლისთვის საყვარელი სიმღერები ახლებური ინტერპრეტაციით და, რაც მთავარია, ცოცხლად შესრულდება. ამგვარი მიდგომა, გადაცემის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. გარდა ამისა, წარმოგიდგენთ ორიგინალურ დუეტებს – სხვადასხვა თაობის და ჟანრში მოღვაწე მუსიკოსები სიმღერებს ერთად შეასრულებენ. მაყურებელს ვთავაზობთ ორიგინალურ ექსპერიმენტებსაც: მაგალითად, ქართული ფოლკლორისა და თანამედროვე ელექტრონული მუსიკის სინთეზს.



#წიგნებისთაროMEDIA - ასეთია ახალგაზრდული სოციალური პროექტის სახელწოდება, რომელიც უნიკალურ ქართულ პლატფორმაზე ხორციელდება. პროექტის მიზანია მთელი საქართველოს მასშტაბით გამოავლინოს შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები, როგორც მოსწავლეები, ისე სტუდენტები, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას და მათთან ერთად შექმნას ახალი, თავისუფალი, წიგნიერი, სწავლასა და წარმატებაზე ორიენტირებული ახალგაზრდული მედია სივრცე.

მობილური აპლიკაცია „წიგნების თარო“ (Google Play/App Store), საქართველოს ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, გააზიარონ ნებისმიერი საინტერესო ამბავი, რომელიც მნიშვნელოვანია უშუალოდ მათ და ასევე მათი თანატოლების ცხოვრებაში, აქტუალურია ქვეყნისთვის და გარშემომყოფი სამყაროს მრავალფეროვნებას ასახავს. ამბის გაზიარება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით - ფოტო, ვიდეო, ტექსტი. ყველა პოსტი, რომელიც რედაქციის გადაწყვეტილებით „წიგნების თაროს“ აპლიკაციაში გაზიარდება, ავტომატურად ხდება #წიგნებისთაროMEDIA პროექტის მონაწილე. პლატფორმა ყველასთვის თავისუფალია, თუმცა ზოგიერთ კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ მოსწავლეებსა და სტუდენტებს შეუძლიათ.

პირველი ოქტომბრიდან 10 დეკემბრამდე, 10 კვირის განმავლობაში; „წიგნების თაროს“ აპლიკაციაში სხვადასხვა კონკურსები გაიმართება. გამარჯვებული ავტორები კონკურსების შესაბამისი პრიზებით - ტექნიკის მაღაზიის 100-ლარიანი ვაუჩერებით და iPhone-ებით დაჯილდოვდებიან.

ტელეფილმები



დასრულდა და ჩაბარდა დოკუმენტური ფილმი „გურამ ბზვანელი“ (ავტორი ლევან ბზვანელი, რეჟისორი ლევან კიტია)

დასრულდა და 16 სექტემბრიდან ყოველ ორშაბათ და სამშაბათს ეთერში გადის ფილმი „სტოკსი-პოლკოვნიკის დახული წერილები“. ჩაბარდა დამონტაჟებული 14 სერია, მიმდინარეობს სერიების საეთეროდ მომზადება.


დასრულდა მრავალსერიანი ფილმების ციკლი „საიდუმლო კარტოთეკის“ (ავტორი: მიხეილ ბასილაძე, რეჟისორი: შალვა შენგელი) მე-2 ფილმის 1 სერიის მონტაჟი

დასრულდა დოკუმენტური სერიალის „პრესა და ერის“ (ავტორი თამაზ ჯოლოგუა, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი) 1-ლი ფილმის 2 სერია.

22 სექტემბერს ეთერში გავიდა მარიამ ხაჭვანის ფილმი „უშგული - ჩემი სამოთხე“

დასრულდა და 29 სექტემბერს ეთერში გავიდა ფილმი „ივანე ბერიტაშვილის“ (ავტორი არჩილ შუბაშვილი, რეჟისორი ბესიკ გაფრინდაშვილი).

დასრულდა და ჩაბარდა სერიალი „თბილისის კართან“ (ავტორი აკა მორჩილაძე, რეჟისორი გიორგი ებრაელიძე).



თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტთან ერთად სადებიუტო მოკლემეტრაჟიან ფილმზე გამოცხადებულ კონკურსში გამოვლინდა 7 გამარჯვებული პროექტი, რომლის დაფინანსება 2019 წელს არის გათვალისწინებული. პროექტის ფარგლებში ამ ეტაპზე დაფინანსდა 5 მოკლემეტრაჟიანი სადებიუტო ფილმი:

1. „ფოტო გადაღება“ - რეჟისორი ილია ასიტაშვილი
2. „მილა“ - რეჟ: სალომე ვეფხვაძე
3. „სასტუმრო მირაჟი“ - გურამ ბაქრაძე
4. „flyt“ - გრიგოლ ნოდია
5. „შავი ზღვა“ - თინათინ ემირიძე
 - o 11 სექტემბერს დასრულდა და ჩაბარდა ფილმი „მილა“.
 - o 16 სექტემბერს, დასრულდა და ჩაბარდა ფილმი „ფოტოგადაღება“
 - o ორი პროექტის „თანაგრძნობა“ (ზვიად ციკოლია) და „ლამის სკოლა“ (გრიგოლ სამსიანი) ავტორებთან მიმდინარეობს ხელშეკრულებაზე მუშაობა.

რადიო



კვლავ გრძელდება რადიოს განვითარების პროექტი. შეგახსენებთ, რომ განვითარების პროექტი რომელიც გასულ სეზონზე დაიწყო, ემსახურება: რადიოს ეფექტურობის გაძლიერებას; რადიოს მოქნილობის გაზრდას და თანამედროვე ტენდენციებზე მორგებას.

მესამე კვარტლის განმავლობაში გრძელდება ახალ პროგრამებზე მუშაობა, მათ შორის იმ მიმართულებებზეც, სადაც კონკურსის საფუძველზე გამარჯვებული ვერ გამოვლინდა.



სასკოლო განათლების საკითხებით დაინტერესებულ მსმენელთათვის, მესამე კვარტლიდან, დაემატა გია მურღულიას ყოველკვირეული საავტორო რადიოგადაცემა „ჩვენი სკოლა“, რომელიც კონცენტრირებული იქნება სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან და აქტუალურ მოვლენებზე, ქართული და უცხოური სასკოლო განათლების სისტემის რეფორმებსა და პრობლემებზე. „ჩვენი სკოლა“ შექმნის პრინციპულ სადისკუსიო სივრცეს, რომელშიც შესაძლებელი იქნება განსხვავებული აზრის მოსმენა და უკეთეს შემთხვევებში – კონსენსუსის მიღწევა. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, ის შეეცდება იყოს დინამიკური და საინტერესო მსმენელისთვის, რომლისთვისაც ყოველთვის მნიშვნელოვანია, კარგად იცნობდეს სკოლას, რათა მართებული არჩევანიც გააკეთოს და შეძლოს კიდევ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას გონივრულად მოსთხოვოს ის, რაც მოსწავლეს უკეთესი განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

დაფორმატდა და დაემატა ახალი თემატური რუბრიკები დილის და საღამოს ეთერის გადაცემებს, მათ შორის „პიკი საათს“:

- o „ფარდის მიღმა“ - ყოველკვირეული თეატრალური რუბრიკა, რომელიც მიმდინარე თეატრალური ამბების მიმოხილვის პარალელურად ორიენტირებულია თეატრის კულისების, საგრიმიორების, სახელოსნოების, გარდერობისა თუ სხვა „ფარდის მიღმა“ ამბების შეგროვებაზე
- o „ემიგრანტი“ - ყოველ ორშაბათს მსმენელს ვაცნობთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რომლებიც სამაგალითოები არიან თავინთი პროფესიული უნარებით,



თუ მიზნებით, თუ წარმატებისაკენ მიმავალი ნაბიჯებით.

- 0 „კონსულტაციის საათი“ - ჟურნალისტი კრებს და საეთეროდ ამზადებს პროფესიონალების რჩევებს ერთ კონკრეტულ საკითხზე. თემა ირჩევა აქტუალობის მიხედვით .
- 0 ყოველ ხუთშაბათს, ან პარასკევს გადის რედაქციის ორი ყველაზე ახალგაზრდა
- 0 წევრის მიერ მომზადებული კონკრეტული თემა, რაც ახალგაზრდული პრობლემების
- 0 გაშუქებისკენაა მიმართული
- 0 „რადიოგაზაფხული“ - ყოველ პარასკევს მსმენელს ვთავაზობთ ვირტუალურ
- 0 რადიომოგზაურობას ერთ კონკრეტულ, რაიმე ნიშნით (იქნება ეს არქიტექტურა,
- 0 შენობის ისტორია, თავად სივრცის მნიშვნელობა თუ სხვა) საყურადღებო შენობაში.

გადაცემა „სახლისკენ“ დამატა:

- 0 რუბრიკა „ეკოლოგია“ ნინო იმნაიშვილთან ერთად. რუბრიკაში „ეკოლოგია“ საუბარია მსოფლიო ეკოპრობლემებსა და გამოწვევებზე, საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე ეკო პროცესებზე.
 - 0 რუბრიკა „ბიზნესპარტნიორი“ სოფიო მაქაცარიასთან ერთად
 - 0 რუბრიკაში ვსაუბრობთ საქართველოში მიმდინარე ბიზნესისა და ეკონომიკის სიახლეებზე
 - 0 რუბრიკა „შოუ ბიზნესი“ ელენე კალანდაძესთან ერთად
 - 0 რუბრიკა „შოუ ბიზნესი“ წარმოგიდგენთ ამ სფეროს
- 0 რუბრიკა „მოვლენა“ დავით გორგილაძესთან ერთად. რუბრიკის ფარგლებში განიხილება მოვლენები სხვადასხვა სფეროდან, რომლებიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და აგრეთვე სხვადასხვა ეპოქის ისეთი მოვლენები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო
- 0 რუბრიკა „ლიტერატურა და ხელოვნება“ გიორგი კეკელიძესთან ერთად. რუბრიკა მიმოიხილავს ახალ წიგნებს,გამოცემებს, აგრეთვე სალიტერატურო და სახელოვნებო დარგში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მაუწყებლობის წვდომის გაუმჯობესების კუთხით. გრძელდება მუშაობა **კომუნიკაციების ეროვნული კომისიასთან** და შპს **ტელერადიოცენტრთან**, რათა წლის ბოლომდე მაუწყებლობამ მოიცვას მთელი საქართველო. ამ მხრივ უკვე არის არსებითი მიღწევები,დაზუსტდა და დაკონკრეტდა ყველა ის ტექნიკური საშუალება, რითაც შესაძლებელი იქნება დასახული მიზნის მიღწევა.შემდეგი ეტაპია ადგილზე ტექნიკური სამუშაოები და შემდგომ ტესტირების რეჟიმი.

ასევე მიმდინარეობს გადამცემების RDS სისტემებით აღჭურვა. RDS სისტემები უზრუნველყოფს არხის ცნობადობას და ავტომატიზაციის ერთი სამაუწყებლო ზონიდან მეორეში გადასვლის დროს ახალ სიხშირეზე ავტომატურ გადაყვანას.

ტექნიკური სამუშაოები, **ტელერადიოცენტრთან** შეთანხმებული სამუშაო გეგმის ახალი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს და დასასრულს უახლოვდება.რის მიხედვითაც 2019 წლის ბოლომდე სამაუწყებლო ზონები დაიფარება და მაუწყებლობა გაუმჯობესდება . ამ პროექტის წყალობით, საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე (25 სამაუწყებლო ზონა) **საქართველოს რადიო** პირველად გაჟღერდება. ამჟამად ინსტალირებულია 23 სამაუწყებლო ზონაში:

1. დუშეთი-მჭადიჯვარი
2. ბარისახო
3. ლაგოდეხი
4. საგარეჯო
5. ცაგერი
6. ონი
7. პატარა ონი
8. გლოლა
9. ხაშური
10. ბორითი
11. ასპინძა
12. ქედა
13. შუახევი
14. ჩოხატაური
15. ნაბეღლავი
16. მარტვილი
17. გუდაური
18. მაღაროსკარი
19. შატილი
20. უშგული
21. იდლიანი
22. გორამირი
23. ფლატე

მედია

წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს 2019 წლის მესამე კვარტლის განმავლობაში მედიის ბლოკის საქმიანობის შემაჯამებელ ანგარიშს.

0 ცვლილებები ბადეში

2019 წლის მესამე კვარტალი, პირველი არხის პროგრამირების თვალსაზრისით, ორ ნაწილად იყოფა: 1. ივლისი-აგვისტო, როდესაც არხის ბადე საზაფხულო პროგრამირებით იყო აგებული და 2. სექტემბერი - როდესაც არხმა ახალი 2019-20 წლების სატელევიზიო სეზონი დაიწყო.

საზაფხულო პროგრამირების ფარგლებში პირდაპირ ეთერში მუშაობას აგრძელებდა საინფორმაციო სამსახური. არხზე განთავსებული იყო მექანიკური პროდუქციის დიდი წილი: მხატვრული, თუ დოკუმენტური სერიאלები, ფილმები, ანიმაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზაფხულის ამ პერიოდშიც დიდი იყო სპორტის წილი. მეორე კვარტალში, პირველი და მეორე არხების საშუალებით გადაიცემოდა შემდეგი სპორტული ასპარეზობები:

1. ევროპის საკლუბო თამაშები ფეხბურთში;
2. 18 წლამდე ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში;
3. საქართველოს ნაკრების თამაშები ფეხბურთში;
4. 3-3-ზე კალათბურთში ევროპის ჩემპიონატი თვრამეტწლიანების;
5. ტესტ-მატჩები რაგბიში;
6. მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში;
7. მსოფლიო თასი რაგბიში;

ახალი სეზონი საქართველოს პირველ არხზე 2 სექტემბერს დაიწყო. ეთერში დაბრუნდა გასულ სეზონზე არსებული ყველა გადაცემა, გარდა იუმორისტული გადაცემისა „ღამის შოუ“, „ილუზიონი“ და „პირველი აუდიტორია“.

ახალი სეზონის ბადეში, პრაიმ-თაიმის ზოლში (22:00 საათიანი ზოლი), ორიგინალური წარმოების პროდუქტი განთავსდა: კვირაში ხუთი დღე (ორშაბათი-პარასკევი) დოკუმენტური და მხატვრული სერიאלები, ორშაბათი-სამშაბათი - „სტოქსი. პოლკოვნიკის დახეული წერილები“ და ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი - „იდეალური დედა“.

სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გადაცემებისთვის ახალი სეზონის ბადეში 22:30 საათიანი ზოლი შეირჩა. ამ ზოლში მოიაზრება: „კვირის ინტერვიუ ირაკლი აბსანძესთან

ერთად“; „თავისუფალი ხედვა“ „42-ე პარალელი“; „აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ და დაემატა ახალი გადაცემა „ტრიბუნა“.

გადაცემები „კაცები“ და „აკუსტიკა“ ახალ სეზონზე შაბათ-კვირის საღამოს ეთერშია განთავსებულნი.

სიახლეა დღის ეთერშიც: შემცირდა გადაცემა „ნაშუადღევის“ საეთერო დრო და 14:30-დან 15:00-მდე ზოლი შეავსო სპორტულმა გადაცემამ „ტაიმაუტი“.

o საზოგადოებასთან ურთიერთობა

სექტემბრის თვეში გაიმართა პირველი არხის ახალი დოკუმენტური სერიალის „სტოქსი-პოლკოვნიკის დახეული წერილები“ პრემიერა, ამასთან მოწვეულ სტუმრებს მიეწოდათ ინფორმაცია პირველი არხის ახალი სეზონის შესახებ.

პირველი არხის მედია მხარდაჭერით, სექტემბრის თვეში ბათუმში გაიმართა საავტორო ფილმების მე-14 საერთაშორისო ფესტივალი – „ბიაფი“ (Biaff).

ასევე მედია მხარდაჭერა გაეწია საქართველოს ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგთა საზოგადოების IV საერთაშორისო ყრილობას, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

2019 წლის მეორე კვარტალში გადაცემების პრომოუშენი მიმდინარეობდა სხვადასხვა სარეკლამო პლატფორმაზე.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების წერილების და სატელეფონო ზარების მონიტორინგი და უკუკავშირის განხორციელება.

2019 წლის საეთერო სეზონისთვის განისაზღვრა გადაცემების სასაჩუქრე პაკეტების ბრენდირება და მათ შესაძენად ჩატარდა ტენდერი. 2019 წლის განმავლობაში გადაცემებისთვის, რომელშიც მაღალია საზოგადოების ჩართულობა ეტაპობრივად ხორციელდება სასაჩუქრე ატრიბუტიკით უზრუნველყოფა.

o საერთაშორისო მიმართულება

საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, მიმდინარე ღონისძიებების პარტნიორულ, თუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, აღსანიშნავია მონაწილეობა ევროპის მაუწყებელთა კავშირის გენერალურ ასამბლეაზე და გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის თინათინ ბერძენიშვილის მოხსენება, გენდერული თანასწორობის შესახებ, მსოფლიოში უდიდეს მედიისა და ტექნოლოგიების ფორუმზე IBC.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა EBU აკადემიის ფარგლებში რიგით მეორე ტრენინგს უმასპინძლა, სადაც მონაწილეობა ჟურნალისტებმა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან მიიღეს.

ორგანიზება გაეწია საქართველოს ვარსკვლავის მონაწილის, გიორგი ფრუიძის საფრანგეთში სასწავლებლად წასვლას. საფრანგეთის მუსიკალურ აკადემიასა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

o კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშუქებული ინფორმაციის პროგრამულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გაზომვის მიზნით, მომზადდა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე მონიტორინგის უწყვეტი პროცესის წარმართვას.

მესამე კვარტალში, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობდა


- სპეციალური პროგრამის შექმნა ;
- მონაცემების კორექტირება;
- მიმართულების და კატეგორიების დახვეწა და სრულყოფა;
- მონიტორების ტრენინგი და პროგრამაში დარეგისტრირება;
- პირველი არხის მექანიკური პროდუქციის კლასიფიკაცია;

მონიტორინგის მასალების დამუშავების და ანალიზის საფუძველზე მომზადდა საანგარიშო პერიოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა პლატფორმაზე შემდეგი თემების გაშუქების ანგარიშები: გენდერული თანასწორობა; ქალთა უფლებები; ოჯახური ძალადობა;


EBU-ს მოთხოვნის შესაბამისად, მომზადდა და გაიგზავნა ევროპის 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სარეიტინგო მონაცემები.

მესამე კვარტალში მეორე კვარტალთან შედარებით გაიზარდა 1 არხის აუდიტორია და ყურების ხანგრძლივობა. შესაბამისად, არხის მიმართ გაიზარდა ლოიალურად განწყობილი მაყურებლის რაოდენობა.


საშუალო წუთობრივი რეიტინგი გაიზარდა 18 %-ით



არხის წილი გაიზარდა 36%-ით



არხის ყურების ხანგრძლივობა გაიზარდა 21%-ით



0 ვიზუალური გაფორმების ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ვიზუალური გაფორმების ჯგუფმა იმუშავა მიმდინარე თუ ახალ პროექტებზე. ჯგუფის მიერ მომზადებული ანონსები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://1tv.ge/show/anonsebi/?tab=video&video_category=0

საერთო ჯამში დამზადდა :

0

პროდუქტი	რაოდენობა
ახალი გადაცემების სრული შეფუთვა	6
პრომო	51
ანონსი	139
ლოგოს ანიმაცია	5
ლოგო	4
ქუდი	4
გრაფიკული ტიხარი	12
საეთერო ტიხარი	7
პლიაშკა	4
გრაფიკული ფონი	6
ბანერი (WEB,FB)	30

0 მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური

გახმოვანების ჯგუფმა 2019 წლის მესამე კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები და მხატვრული სერიალები. უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, გახმოვანების ჯგუფმა საეთეროდ დაამზადა 255 საათი.

ივლისში გახმოვანდა 105 სთ, აგვისტოში - 60 სთ, სექტემბერში - 90 საათი.

პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმები გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

0 ონლაინ მედია

დასრულდა აპლიკაციის „მოქალაქე რეპორტიორი“ რებრენდინგი, რის შემდეგაც შეიქმნა მობილური აპლიკაცია #წიგნებისთაროMEDIA.

აპლიკაცია საქართველოს ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, გააზიარონ ნებისმიერი საინტერესო ამბავი. ამბის გაზიარება შესაძლებელია ნებისმიერი ფორმით – ფოტო, ვიდეო, ტექსტი. ყველა პოსტი, რომელიც რედაქციის გადაწყვეტილებით, აპლიკაციაში გაზიარდება, ავტომატურად ხდება #წიგნებისთაროMEDIA პროექტის მონაწილე. პლატფორმა ყველასთვის თავისუფალია, თუმცა ზოგიერთ კონკურსში მონაწილეობა მხოლოდ მოსწავლეებსა და სტუდენტებს შეუძლიათ. ამ ეტაპზე, დაგეგმილია რამდენიმე კონკურსის ჩატარება.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

1tv.ge საიტის სტატისტიკა


III კვარტალი 2019	II კვარტალი 2019
ვიზიტი საიტზე - 10,078,300	ვიზიტი საიტზე - 9,726,000
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 81,980	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 86,940
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 109,546	საშუალოდ დღეში ვიზიტი: 106,882
მაქსიმალური მაჩვენებელი - 311,350 (27 სექტემბერი, 2019)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 395,501 (21 ივნისი, 2019)

იუთუბარხების სტატისტიკა

III კვარტალი 2019	II კვარტალი 2019
ნახვა - 28,300,000	ნახვა - 33,700,000
საშუალოდ დღეში ნახვა - 308,000	საშუალოდ დღეში ნახვა - 370,000
მაქსიმალური მაჩვენებელი - 543,000 (8 ივლისი, 2019)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 848,000 (21 ივნისი, 2019)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ლიდერია ქართულ მედიაში.

ვიზიტები YouTube-არხებზე 2019 წელს



ტოპ20 პოსტი საიტზე III კვარტალი 2019

		10,078,308 % of Total: 100.00% (10,078,308)
☐	1. ახალი ამბები - 1TV	1,140,777 (11.32%)
☐	2. Live - 1TV	840,063 (8.34%)
☐	3. საქართველოს პირველი არხი - 1TV	143,732 (1.43%)
☐	4. დედამიწის სიღრმეში სავარაუდოდ იმალება მილიარდობით წლის განმავლობაში ხელუხლებელი გიგანტური ქანების ანომალია - 1TV	131,421 (1.30%)
☐	5. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ეკა ბესელიამ ვანო ზარდიაშვილს დაარტყა [ვიდეო] - 1TV	75,258 (0.75%)
☐	6. Новости - 1TV	68,114 (0.68%)
☐	7. 1 არხი - 1TV	59,930 (0.59%)
☐	8. Fb-live - 1TV	52,493 (0.52%)
☐	9. საქართველოში მიწისძვრა მოხდა - 1TV	52,182 (0.52%)
☐	10. You searched for - 1TV	51,485 (0.51%)
☐	11. 49 წლის ასაკში ფინანსთა ყოფილი მინისტრი ნოდარ ხადური გარდაიცვალა - 1TV	48,221 (0.48%)
☐	12. მზადება „ფორსაჟი 9“-ის ეპიზოდების გადასაღებად - ირაკლი გედენიშის ფოტომწამვი - 1TV	45,613 (0.45%)

ფეისბუქ-გვერდი - პირველი არხი (2019 წლის მესამე კვარტალი)

ვიდეოების საერთო ნახვა - 26.2 მილიონი - წინა 3 თვესთან შედარებით ნახვები გაზრდილია 88 %-ით

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 690.1 ათასი - წინა სამ თვესთან შედარებით გაზრდილია 49.4 %-ით



გვერდის საერთო ლაიქების რაოდენობა 281,692- გაზრდილია 4.3%-ით



ტოპ 3 ვიდეო მესამე კვარტალში

Video		Date Added	Minutes Viewed
	#მასტერშეფის გრანდიოზული... პირველი არხი, X ფაქტორი *...	07/27/2019 11:00 PM პირველი არხი	1.5M
	#მასტერშეფის დიდი ნახევარფინა... პირველი არხი, X ფაქტორი *...	07/20/2019 10:59 PM პირველი არხი	1.2M
	ბანალური „საბჭოთა კერძების“... პირველი არხი, მასტერშეფი ...	07/06/2019 11:03 PM პირველი არხი	1.2M

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

1. ინფორმაცია 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობის

შესახებ

2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” დასაქმებული იყო 1177 თანამშრომელი (მათ შორის 496 ქალი).

2. ინფორმაცია 2019 წლის ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის მდგომარეობით

ა) 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში”

- ☐ სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 58 თანამშრომელს;
- ☐ სამუშაოზე მიღებული იქნა 4 თანამშრომელი;
- ☐ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 25 თანამშრომელთან;
- ☐ დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 9 თანამშრომელი;
- ☐ 2019 წლის ივლისის თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა” მიიღო 2 სტაჟიორი.

ბ) 2019 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში”

- ☐ სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 67 თანამშრომელს;
- ☐ სამუშაოზე მიღებული იქნა 3 თანამშრომელი;
- ☐ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 14 თანამშრომელთან;
- ☐ დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 6 თანამშრომელი;
- ☐ 2019 წლის აგვისტოს თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს” არ მიუიღია სტაჟიორი.

გ) 2019 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში”

- ☐ სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 73 თანამშრომელს;
- ☐ სამუშაოზე მიღებული იქნა 14 თანამშრომელი;
- ☐ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 18 თანამშრომელთან;
- ☐ დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 7 თანამშრომელი;
- ☐ 2019 წლის სექტემბრის თვეში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელმა” მიიღო 22 სტაჟიორი.

იურიდიული სამსახური

1. ხელშეკრულებების შესახებ

2019 წლის მე-3 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 234 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2019 წლის მე-3 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	ფ/პ ვახტანგ კანდელაკი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. – თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ვ. კანდელაკის სააპელაციო საჩივარი, ბათილად იქნა ცნობილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ბრძანება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” დაეკისრა ვ. კანდელაკის სასარგებლოდ კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში. - ამ ეტაპზე უცნობია, ცნო თუ არა დასაშვებად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” საკასაციო საჩივარი
2.	ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და ბ) საზოგადოებრივი მაუწყებლის ე. მაჭავარიანის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. - გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში. - იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი, გადაწყვეტილება ასევე გასაჩივრებულია აპელაციის წესით მოსარჩელის მიერ

3.	ფ/პ ბესიკ შარაშიძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. – თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ბ. შარაშიძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა. – გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია საქართველოს უზენაეს სასამართლოში
4.	ფ/პ გაგა მოდებაძე	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. – თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს გ. მოდებაძის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. – სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.
5.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	საჯარო ინფორმაციის გაცემა	– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. – გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში
6.	ფ/პ ლაშა მესხი	1) შრომითი	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო

		ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით; 2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა; 3) სამსახურში აღდგენა; 4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება; 5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ლ. მესხის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. დ) ლ. მესხის მიმართ სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი – სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში – სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ლ. მესხის სარჩელი დაკმაყოფილდა მხოლოდ კომპენსაციის დაკისრების ნაწილში. – ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული საკასაციო წესით საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ
7.	ფ/პ ავთანდილ ძიძიგური	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა
8.	ფ/პ ნუგზარ რუხაძე	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
9.	ფ/პ მზია ზაუტაშვილი	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი მ. ზაუტაშვილსა და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის დადებული შრომის ხელშეკრულების 2.3 და მე-6 პუნქტები და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2017 წლის 1 თებერვლიდან 2017 წლის 1 დეკემბრამდე. - გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ორივე მხარის მიერ სააპელაციო სასამართლოში - სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

			- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ თავის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრებულია საკასაციო წესით.
10.	შპს “სტუდია ფონოგრაფი“	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
11.	ალექსანდრე ჯანდიერი	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის ანაზღაურება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - ალ. ჯანდიერის მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.
12.	ალექსანდრე ჟღენტი	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევების გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
13.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საჯარო ინფორმაციის (კერძოდ, მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-20 ¹ მუხლით განხორციელებული შესყიდვების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებების) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დაევალა მხოლოდ რეზიდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების გადაცემა მოსარჩელისთვის პერს. მონაცემების მითითების გარეშე (ანუ, დაშტრიხული სახით).
14.	საქართველოს ახალგაზრდა	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური	– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ

	იურისტთა ასოციაცია	გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
15.	ალექსანდრე ხოჯავა	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	– თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა. ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება; ბ) მოსარჩელე აღდგენილ იქნა დაკავებულ თანამდებობაზე; გ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ალ. ხოჯავას სასარგებლოდ დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება. – სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში
16.	ა(ა)იპ “საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ ვიდეო რგოლის სოციალური რეკლამის სახით ეთერში განთავსების დავალება	– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
17.	ია მახარაძე	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	– საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
18.	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი	– მოცემულ საქმეზე სსიპ “საზოგადოებრივი” მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

		მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	
--	--	---	--

